პროლეტარიელო ყველა ქვეყნისა, შეერთდითო!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მუშათა დეპუტატების საბჭოების ორგანო

KOMUNISTI ORGAN CENTRALNOGO i TBILISSKOGO KOMITETOV KP (B) GRUZII i SOVETOV DEPUTATOV TRUDJAŠČIHSJA GRUZINSKOJ SSR

გამოდის 30-ე წელი

ოთხშაბათი, 24 აგვისტო, 1949 წ. № 168 (8471). ფასი 20 კაპ.

ეროვნული

ДЕСЕ ГАЗЕТИДАН:

მხარი დავუჭიროთ ლენინის რაიონული საბჭოს თაოსნობას — მოწინავე (1-ლი გვერდი).

ჩვენს რესპუბლიკაში (1-ლი გვერდი).

სოციალიზმიდან ფაშიზმისაკენ — „პრავდის“ 23/VIII მოწინავე (მე-2 გვერდი).

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (მე-2 გვერდი).

მოვაწყოთ სოციალისტური შეჯიბრება ... რაიონული საბჭოებს შორის (მე-3 გვერდი).

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია — ბრძოლაში კარტულ-ორგანიზაციული მუშაობის საკითხებზე (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ამბები — დეპეშები (მე-4 გვერდი).

მხარი დავუჭიროთ ლენინის რაიონული საბჭოს თაოსნობას

დღეს ჩვენს გაზეთში ქვეყნდება მშრომელთა დეპუტატების თბილისის ლენინის სახელობის რაიონული საბჭოს მიმართვა თბილისის ყველა რაიონული საბჭოსადმი — ამ საბჭოებს შორის სოციალისტური შეჯიბრების მოწყობის წინადადებით. ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის ერთ-ერთი მოწინავე რაიონული საბჭოს აღნაშნული თაოსნობა მეტად საყურადღებოა.

ახლა, როდესაც დედაქალაქის მშრომელები თავდადებულად იბრძვიან ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესასრულებლად, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მასების ინიციატივას სამეურნეო საქმიანობის ყველა დარგში, მათს დარაზმულობას ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა თავრობის მიერ დასახულ ღონისძიებათა წარმატებით განხორციელებისათვის. საბჭოები, როგორც ხელისუფლების დემოკრატიული ორგანოები, მოვალენი არიან მუდამ ხელს უწყობდნენ მასების შემოქმედებითი ინიციატივის ფართოდ გაშლას, იყენენ ყოველი ახალი თაოსნობის სათავეში და ავითარებდნენ მას.

ლენინის სახელობის რაისაბჭოს ინიციატივის მნიშვნელობა ის არის, რომ იგი ხელს უწყობს მასების დარაზმვას საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობისა და პარტიის თბილისის XIX საქალაქო კონფერენციის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, დედაქალაქის მშრომელთა წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის. ეს ამოცანები კი რთული და სერიოზულია. ამიტომ მათი განხორციელებისათვის ბრძოლის საკითხი მუდამ ყურადღების ცენტრში უნდა იდგეს. სწორედ ასე იქცევიან ლენინის რაიონის მშრომელები, რომლებიც საწარმოო გეგმების წარმატებით შესრულებასთან ერთად დაუღალავად იბრძვიან კომუნალური მეურნეობის განვითარებისათვის, ეიჯრობის ფართოდ გაშლისა და ბოსახლეობის მომარაგების გაძლიერებისათვის, სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის კერების ქსელის გაფართოებისა და მათი მეშობის დონის ამაღლებისათვის. მაგრამ რაც მათ მიერ ამ მხრივ დღემდეა გაკეთებული, როგორც მიმართვაშია აღნიშნული, მხოლოდ მცირე ნაწილია იმისა, რაც მომავალში უნდა გაკეთდეს.

ლენინის რაიონული საბჭოს დეპუტატებმა სისხლზე მიიღეს გადაწყვეტილება საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობისა და თბილისის XIX საქალაქო კონფერენციის დადგენილებათა წარმატებით განხორციელებისათვის ჩაბან სოციალისტურ შეჯიბრებაში, აიღეს კონკრეტული ვალდებულებანი და ამავე მიზნით შეჯიბრებაში გამოიწვიეს დედაქალაქის ყველა რაიონული საბჭოები. ეჭვი არაა, რომ ქალაქ თბილისის სტალინის, მოლოტოვის, ბერიას, ორჯონიკიძის, კიროვის, 26 კომისრის რაიონული საბჭოები სიხარულით დაუჭერენ მხარს ლენინის რაიონული საბჭოს ამ წინადადებას და კონკრეტული საქმეებით უპასუხებენ მას.

ამხანაგმა კ. ჩარკვიანმა თავის საანგარიშო მოხსენებაში საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობაზე აღნიშნა: „ომის შემდგომი ხუთწლედის პირველივე წლიდან განახლდა ჩვენი ქალაქებისა და რაიონების კეთილმოწყობის სამუშაოები... კომუნალური მეურნეობის გაუმჯობესების საპუშაოები ყველა ქალაქში წარმოება. ამ საქმეში დიდ წარატებებს მიაღწიეს სოხუმის, ქუთაისის, ბათუმის, ფოთის, გორისა და სტალინირის პარტიულმა ორგანიზაციებმა... ქუთაისის, ბათუმის, ფოთისა და სტალინირის საქალაქო კომიტეტებისა და მშრომელთა დეპუტატების საბჭოების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ უნარი შესწევთ ეფექტიანად და მიზანშეწონილად გამოიყენონ ის სახსრები, რაც მათ ახალი მშენებლობისათვის და საქალაქო მეურნეობის გასაუჯობესებლად ეძლევათ“.

ასეთი დიდი შეფასება, რომელიც თავდადებული მუშაობით მოიპოვეს აღნიშნული ქალაქების პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა, უფრო მეტ პასუხისმგებლობას აკისრებს მათ. ამიტომ, ჩვენ მოველით, რომ დედაქალაქის ლენინის რაიონული საბჭოს მაგალითისამებრ, სწორედ ზამთით დასახულებული საქალაქო საბჭოები გახდებიან ჩვენი რესპუბლიკის დანარჩენ საქალაქო საბჭოებს შორის სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების ინიციატორები.

ვიჩაღებთ რა სოციალისტურ შეჯიბრებას საქალაქო საბჭოებს შორის, ერთი წუთითაც არ უნდა დავიეწყოთ, რომ ამ შეჯიბრების წარმატება, ნაკისრ ვალდებულებათა პირნათლად შესრულება დამოკიდებულია საქალაქო საბჭოების ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის სანიმუშოდ დაყენებაზე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საბჭოს ყველა დეპუტატი ჩაეგბას აქტიურ საბჭოთა მუშაობაში, გავაძლიეროთ მუდმივი კომისიების საქმიანობა, მათ მუშაობაში მოვიზიდოთ საბჭოთა აქტივი, საბჭოების ყოველდღიურ საქმიანობაში დავნერგოთ გეგმიანობა, დავაწესოთ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების სისტემატური შემოწმება, განვამტკიცოთ კავშირი ამომრჩევლებთან, დროულად ვიბრძოლოთ მათი განაწესის ღირსეულად შესრულებისათვის.

საქალაქო საბჭოებს შორის სოციალისტური შეჯიბრება ფრიად მნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენი რესპუბლიკის საქალაქო საბჭოების ცხოვრებაში. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ პარტიის საქალაქო ორგანიზაციების ხელმძღვანელობითა და დახმარებით საქართველოს სსრ რესპუბლიკის საქალაქო საბჭოები ამ საქმეშიც გამოაცალონ თავიანთ მაორგანიზებელ ძალას, უნარსა და ინიციატივას მშრომელთა ფართო მასების დასარაზმავად დიდ სტალინურ დავალებათა ბოლშევიკურად შესრულებისათვის!

ЧВЕНЕС РЕСПУБЛИКАША

★ ★ ★ ★ ★

წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობებმა შეასრულეს სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარების გეგმა

წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობებმა 20 აგვისტოსათვის 102,1 პროცენტით შეასრულეს სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარების გეგმა.

მარცვლეულის ჩაბარება გრძელდება.

ჯყინგულის რაიონის კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს გეგმის გადამეგზებით მოკკრიფონ და სახელმწიფოს ჩაებარონ 200 ჯონა ჩაის ფოთოლი

ტყიბულის რაიონის კოლმეურნეობებმა 21 აგვისტოსათვის 100,8 პროცენტით შეასრულეს ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელზე გამოგზავნილ დეპეშაში საქართველოს კ. პ. (ბ) ტყიბულის რაიკომის მდივანი ამხ. ჯ.ეკენაძეა და რაიაღმასკომის თავმჯდომარე ამხ. აბესაძე იტყობინებიან, რომ ტყიბულის რაიონის კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს გეგმის გადამეტებით მოკრიფონ და სახელმწიფოს ჩააბარონ 200 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

ზესტაფონის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა 20 აგვისტოსათვის 113 პროცენტით შეასრულეს აბრეშუმის პარკის დამზადების წლიური გეგმა.

პარკის ჩაბარება გრძელდება.

საკოლმეურნეო ელექტროსადგურები

ორჯონიკიძე. (საკ. კორ.). სოფელ ლეღნის ბერიას სახელობის კოლმეურნეობა მდინარე ლეღნურაზე აშენებს 110-ცხენის ძალიან ელექტროსადგურს, რომელიც წელს უნდა დამთავრდეს.

ილიჩის ნათურები სულ მალე გააჩინაღდნენს ამ სოფლის 500 კოლმეურნის ბინას.

ვენახი შემოქმედში

მახარაძე. (სპეც კორ.). კოლმეურნეები დიდ ინტერესს იჩენენ ვაზის კულტურისადმი. იგი კარგად ხარობს სოფელ შემოქმედის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში. აქ ვენახი გაშენებულია 4 ჰექტარზე. საკვლევსო მოცალა-დამუშავების შედეგად წელს ყურძნის უხვ მოსავალს მოელიან.

ვენახს კარგად უვლის ის რგოლი, რომელსაც ნ. შავიძე ხელმძღვანელობს. თავდადებულად შრომობენ კოლმეურნეები: გ. ჩიტაშვილი, შ. შაფაქიძე, ჩხატარაიშვილი და სხვები.

შრომითი მიღწევებით აღვნიშნოთ მეშახტის დღე

საღამოსასწაულო ვახშზე

ტყვარჩელი. დღითიდღე ძლიერდება შეჯიბრება მეშახტის დღისათვის ახალი წარმატებების მოსაპოვებლად. ძორნავე ბრიგადები და წარჩინებული მეშახტეები იბრძვიან იმისათვის, რომ საშობლოს მისცენ მეტი ქვანახშირი, გაიუმჯობესონ მისი ხარისხი, შეამცირონ თვითღირებულება.

ტყვარჩელის სტალინის სახელობის შახტის მეხუთე უბნის ამშენდთა ნ. აკარკოვისა და ს. სვინარევის ბრიგადები ყოველდღიურად ერთნახევარ-ორ ნორმას ასრულებენ. 6 აგვისტოს ამხ. სვინარევის ბრიგადამ დატვირთა 93 ტონა ქვანახშირი, ხოლო 9 აგვისტოს ამხ. აკარკოვის ბრიგადამ 90 ტონა ქვანახშირი. ამშენდთა ამ ბრიგადების თვითეული მეშახტე 40-50 პროცენტით აჭარბებს გამოუშავების დღიურ ნორმებს.

შახტში შრომითი მამაცობით გამოირჩევა აღდგენითი სამუშაოების მწარმოებელი უბნის ის ახალგაზრდული ბრიგადა, რომელსაც ვ. ახალაია ხელმძღვანელობს. ამ ბრიგადამ იანვლის დაგალება 175 პროცენტით შეასრულა და ახალგაზრდულ ბრიგადებს შორის პირველობა მოიპოვა. აგვისტოს პირველი დღეებიდანვე ახალგაზრდა მეშახტეები სტახანოვურ ვახტზე დგანან და ყოველდღიურ ნორმებს ასრულებენ. ამ ბრიგადის ბ. ტალაკაძე, ბ. ბოლქვაძე, ბ. ბოლქვაძე, ბ. ბოლქვ

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲖᲛᲘᲓᲚᲐᲜ ᲤᲐᲨᲘᲖᲛᲘᲡᲐᲙᲔᲜ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ მთავრობის 21 აგვისტოს გამოქვეყნებული პასუხი იუგოსლავიის მთავრობის ნოტაზე საბჭოთა მოქალაქეების უკანონო დაპატიმრებათა გამო წარმოადგენს დოკუმენტს, რომელიც ბოლომდე ამხილებს იუგოსლავიის მთავრობას, როგორც ისეთ მთავრობას, რომელმაც უღალატა დემოკრატიისა და სოციალიზმის ინტერესებს და უუფლებოდ აკიტალის და რეაქციის ბანაკში გადაბარგდა.

ერთი წლის წინათ კომუნისტური პარტიების საინფორმაციო ბიუროს რეზოლუციამ აღნიშნა იუგოსლავიის კომპარტიის ხელმძღვანელობის ასეთი სამარცხვინო დასასრულის გარდუვალობა იმ პოლიტიკის შედეგად, რომელსაც იგი ახორციელებს და რომელიც ემეტრება კომუნისტური პარტიის თვით არსებობას და საბოლოო ანგარიშით შეიცავს საფრთხეს იუგოსლავიის სახალხო რესპუბლიკისათვის. უკვე მაშინ ცხადი იყო, რომ იუგოსლავიის მთავრობა, რომელმაც გაწყვიტა კავშირი ინტერნაციონალისტურ ტრადიციებთან და დაადგა ნაციონალიზმის გზას, ერთიანი სოციალისტური ფრონტისაგან ჩამოშორების გზას, ამზადებდა პარტიასა და იუგოსლავიელ ხალხს, რომ ეღალატნა სახალხო დემოკრატიის ერთიანი ფრონტისა და სსრ კავშირისათვის. უკვე მაშინ ცხადი იყო, რომ ტიტოს ხროვა დაადგა იმპერიალისტური სახელმწიფოებისადან დათმობის გზას და ამრიგად ფიქრობს მოიგოს ამ სახელმწიფოთა გული, რათა „თანდათანობით ჩაუნერგოს იუგოსლავიის ხალხებს ორიენტაცია ამ სახელმწიფოებზე, ესე იგი — ორიენტაცია „კაპიტალიზმზე“. (საინფორმაციო ბიუროს 1948 წლის 29 ივნისის რეზოლუციიდან).

მას შემდეგ ერთ წელიწადზე ცოტა მეტი ხანი გავიდა, მაგრამ ამ მცირე ხნის განმავლობაშიც ტიტოს ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურმა ხროვამ როგორც თავის საგარეო, ისე საშინაო პოლიტიკაში მოასწრო გაეკლო იუგოსლავიელი ხალხის ინტერესების გამეტლმლობის მთელი გზა და საბოლოოდ გადასულიყო საბჭოთა კავშირის, სახალხო დემოკრატიის ქვეყნებისა და მთელი საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის აშკარა მტრების ბანაკში.

ახლა, მრავალ ფაქტზე დაყრდნობით, რომლებიც ახასიათებენ იუგოსლავიის მთავრობის პოლიტიკურ ხაზს საერთაშორისო საქმეებში, საბჭოთა მთავრობას 11 აგვისტოს ნოტაში სრული საფუძველი ჰქონდა განეცხადებინა, რომ „რაღაც მაგარი ძაფები აკავშირებენ იუგოსლავიის მთავრობას ან ამ მთავრობის თანავარ პირებს უცხოელი კაპიტალისტების ბანაკთან; რომ იუგოსლავიის მთავრობა სულ უფრო და უფრო უერთდება იმპერიალისტურ წრეებს სსრ კავშირის წინააღმდეგ და ბლოკს ჰკრავს მათთან“.

საბჭოთა მთავრობის 11 აგვისტოს ნოტამ, რომელმაც გამოაშკარავა იუგოსლავიის ახლანდელი მთავრობის ანტისაბჭოთა საგარეო პოლიტიკის ფესვები, ფასდაუდებელი სამსახური გაუწია დემოკრატიისა და სოციალიზმის საქმეს, ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების საქმეს.

საბჭოთა კავშირისადმი მტრობითა და სიძულვილით გამსჭვალული იუგოსლავიის მთავრობა უკანასკნელ დროს არ სჯერდება ცილისმწამებლურ ჭორებსა და მტრულ პროპაგანდას, ცდილობს შეარყიოს იუგოსლავიელი ხალხის მაგალის ტრადიციული სიმპათიები საბჭოთა კავშირისადმი. იუგოსლავიის მთავრობა საბჭოთა კავშირისადმი მტრობაში უფრო შორს წავიდა, დაადგა იუგოსლავიაში მცხოვრები საბჭოთა მოქალაქეების დევნის გზას, ატიმარებს მათ, სცემს და მხეცურად ეპყრობა იუგოსლავიის პოლიციისა და იუგოსლავიის საპყრობილეთა ციხეებში. საბჭოთა საელჩომ იუგოსლავიაში, საბჭოთა მთავრობის დაგალებით, არაერთზგის მიმართა იუგოსლავიის მთავრობას და მოსთხოვა შეეწყვიტა ეს ბუნაგ აგდება.

იუგოსლავიის მთავრობა თავის 30 ივლისის ნოტაში საბჭოთა მთავრობის 25 იელისის ნოტის პასუხად შეეცადა თავიდან აეცილებინა ბრალდება საბჭოთა მოქალაქეების მიმართ. უხეშ თვითნებობასა და სასტიკ რეპრესიებში, სრული დუმილით ავლო გვერდი იუგოსლავიელ ხელისუფალთა დანაშაულებრივი მოქმედების ფაქტებისათვის და ეს საკითხი შეეცალა საკითხით საბჭოთა მოქალაქეების უკანონო დაპატიმრებათა მოტივების შესახებ. იგი ვარაუდობდა ამრიგად გაემართლებინა მხეცური მოპყრობა დაპატიმრებული საბჭოთა მოქალაქეებისადმი და იუგოსლავიის ორგანოების სხვა დანაშაულობანი საბჭოთა მოქალაქეების წინააღმდეგ. ასეთი თავისმართლების მთავარ მოტივად იუგოსლავიის მთავრობამ წამოაყენა ის გარემობა, რომ საბჭოთა მოქალაქეები წარსულში თეთრგვარდიელები იყვნენ და მტრულად იყვნენ განწყობილნი საბჭოთა კავშირისადმი. მაგრამ ეს მოტივი ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს, ვინაიდან რეპრესიებს იუგოსლავიის მთავრობის მხრივ განიცდის სწორედ ყოფილ თეთრგვარდიელ ემიგრანტთა სუეკეთესო ნაწილი, რომელმაც გაწყვიტა კავშირი წარსულთან, გამოისყიდა თავისი დანაშაული საბჭოთა ხალხის წინაშე და აღიდგინა საბჭოთა მოქალაქეობა, მაშინ როცა ის თეთრგვარდიელი ემიგრანტები, რომლებიც გერმანელ ოკუპანტებთან თანამშრომლობდნენ და წინანდელზარად საბჭოთა კავშირის მტრები არიან, არათუ არ განიცდიან არავითარ დევნას, არამედ იუგოსლავიის მთავრობის მფარველობითაც კი სარგებლობენ.

რათა დამაჯერებლობის თუნდაც ნაესახი მიეცა დაპატიმრებულთა ემიგრანტული წარსულის შესახებ თავისი მოტივისათვის, როგორც საბჭოთა მოქალაქეების დევნის საფუძვლისათვის, იუგოსლავიის მთავრობამ ზოგიერთი დაპატიმრებულს წაუყენა კიდევ ისეთი ბრალდება, როგორიცაა უარყოფითი დამოკიდებულება ახლანდელი თავი რეკიმისადმი იუგოსლავიაში, თანაგრძნობა საინფორმაციო ბიუროს რეზოლუციისადმი და—თქმაც კი საშინელია! — ამ რეზოლუციის გავრცელებისათვის ხელშეწყობაც. რათა უფრო გაეძლიერებინა ეს ბრალდება, იუგოსლავიის მთავრობა არ მოერიდა დაემატებინა ყალბი ბრალდება იუგოსლავიის „სახელმწიფო წყობილების ძალით დამხობის პროპაგანდაში“ და ეს საინფორმაციო ბიუროს რეზოლუციას დაუკავშირა.

საბჭოთა მთავრობის 21 აგვისტოს გამოქვეყნებულმა ნოტამ გამოაშკარაკა ამ მოტივების მთელი უსუსურობა და ცხადყო მთელი მათი უვარგისობა და სიყალბე. საბჭოთა მთავრობის ნოტაში საბრალოლაინა აღნიშნეთა, რომ ბრალდება იუგოსლავიის ახლანდელი რეკიმისადმი უარყოფით დამოკიდებულებაში და საინფორმაციო ბიუროს რეზოლუციისადმი თანაგრძნობა ბრალდებაა არა იმდენად დაპატიმრებული საბჭოთა მოქალაქეების წინააღმდეგ, რამდენადაც იუგოსლავიაში არსებული პოლიტიკური რეკიმის წინააღმდეგ. ნოტა სამართლიანად აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ არც ერთ ქვეყანაში, გარდა ფაშისტური რეკიმის ქვეყნებისა, დემოკრატიულ შეხედულების თავისუფლად გამოთქმა დანაშაულობად არ ითვლება. იუგოსლავიაში კი ეს წარმოადგენს დაპატიმრებისა და ანგარიშს სასტიკად გასწორების საფუძველს.

საბჭოთა მთავრობის ნოტა აშკარავებს იუგოსლავიაში საბჭოთა მოქალაქეების დევნის ნამდვილ მიზეზებს, საბჭოთა კავშირისადმი იუგოსლავიის მთავრობის მტრობისა და სიძულვილის მიზეზებს. საბჭოთა მოქალაქეების დევნის ნამდვილი მიზეზი ის არის, რომ საბჭოთა მოქალაქეები, იუგოსლავიის ყველა პატრიოტთან ერთად, არიან სსრ კავშირსა და იუგოსლავიას შორის მეგობრული ურთიერთობის მოსმრენი და არ იწონებენ ყველასათვის ცნობილ შეუწყარებელ საქციელს იუგოსლავიის მთავრობისას, რომელიც დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკიდან საერთაშორისო კაპიტალის ბანაკში გადაბარგდა.

რაც შეეხება ბრალდებას „იუგოსლავიის სახელმწიფო წყობილების ძალით დამხობის პროპაგანდაში“, რაც თითქოს დაკავშირებულია საინფორმაციო ბიუროს რეზოლუციასთან, ასეთი ბრალდება წარმოადგენს უხეშ პროვოკაციას და ცილისწამებას, ვინაიდან საინფორმაციო ბიუროს რეზოლუციაში ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი იუგოსლავიაში არსებული სახელმწიფო წყობილების ანავთბილ დამხობაზე. რეზოლუციაში ლაპარაკია მხოლოდ კომუნისტურ პარტიებში ხელმძღვანელობის ისეთ შეცვლაზე, რომელიც არის კანონიერი, კონსტიტუციურ-პარტიული, შეეფერება მარქსიზმ-ლენინიზმის ორგანიზაციულ პრინციპებს და ყველა კომუნისტური პარტიის მრავალი წლის პრაქტიკას. მხოლოდ იუგოსლავიის მმართველებს, როგორიც არიან ტიტო, კარდელი, რანკოვიჩი და ჯილასი, რომლებმაც დიდი ხანია გაწყვიტეს კავშირი მარქსიზმ-ლენინიზმთან, შეუძლიათ ხელმძღვანელობის შეცვლის ასეთი საშუალება უკანონად და დანაშაულებრივად მიიჩნიონ.

პროვოკაციულ-ცილისმწამებლურად განხილავს რა კომინფორმის რეზოლუციას როგორც „დანაშაულებრივ ფურცელს“ და მიაჩნია რა მისი გავრცელება ანდა მისი გაცნობაც კი იმის საკმარ საფუძველად, რომ ათასობით ადამიანი გამოამწყვდიოს საპყრობილეებში, იუგოსლავიის მთავრობა მოქმედებს საბერძნეთის ცალდარისის ფაშისტური მთავრობისა და ესპანეთის ფრანკოს ფაშისტური მთავრობის მეთოდით, რომლებიც კომინფორმის რეზოლუციას აგრეთვე განიხილავენ როგორც „დანაშაულებრივ ფურცელს“. ის გარემობა, რომ იუგოსლავიის ახლანდელი მთავრობის პოზიცია საინფორმაციო ბიუროს რეზოლუციის მიმართ დაემთხვა ცალდარისისა და ფრანკოს პოზიციას, შემთხვევითი როდია.

საბჭოთა მოქალაქეების უკანონო დაპატიმრებათა გამო საბჭოთა მთავრობის ნოტის განსაკუთრებული მნიშვნელობა იქმნა მდგომარეობს, რომ იგი ბოლომდე ამხილებს იუგოსლავიაში არსებული რეჟიმის ნამდვილ ხასიათს.

იუგოსლავიელი ხალხის მოტყუების მიზნით იუგოსლავიის ახლანდელი მმართველები, რომლებიც იმპერიალისტების პირდაპირი აგენტები და ხელშეწყობნი გახდნენ, ცდილობენ კვლავ ამოეფარონ დემოკრატიისა და სოციალიზმის შირმას, მიიღონ თითქოს შეუერაცხყოფილთა პოზა და ბრალს სდებენ საბჭოთა მთავრობას, თითქოს იგი ამახინჯებს „იუგოსლავიის სახალხო ხელისუფლების ნამდვილ დემოკრატიულ-სოციალისტურ ხასიათს“.

საბჭოთა მთავრობის ნოტა ნიღაბს ხდის ტიტოს ხროვას და გვიჩვენებს ფაშისტი მომძალადეების ნამდვილ სახეს.

ახლანდელ იუგოსლავიაში გამეფებულია მმართველობის ეგზეკაპორი მეთოდები. ფეხქვეშ ითელება აზრის ყოველგვარი თავისუფალი გამოთქმა, ფეხქვეშ ითელება ადამიანის ყველა უფლება. იუგოსლავიის საპყრობილეები სავსეა სოციალისტური ბანაკის მოძმრეებით, ხოლო იუგოსლავიის კომპარტია გადაიქცა პოლიტიკური პოლიციის განყოფილებად, რომელიც პოლიციის შეფ რანკოვიჩს ემორჩილება. ყოველივე ეს ახასიათებს ამჟამად იუგოსლავიაში გამეფებულ რეჟიმს, როგორც ისეთ რეჟიმს, რომელსაც საერთო არა აქვს რა სოციალისტურ და დემოკრატიულ სახალხო ხელისუფლებასთან, და, პირიქით, ახასიათებს მას, როგორც რეჟიმს, რომელიც ფაშისტურ-გესტაპოურია.

განა ფაქტი არ არის, რომ იუგოსლავია მისმა ახლანდელმა მთავრობამ უცხოეთის კაპიტალის კონტროლქვეშ დააყენა? განა ამაზე არ მეტყველებენ ისეთი ფაქტები, როგორიცაა იუგოსლავიის მეურნეობის გამოკვლევა ეკონსულტუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის ამერიკელი კომისიის მიერ, რომელიც, ამ კომისიის ხელმძღვანელის ჰორის განცხადებით, როგორც პრესაში იუწყებოდნენ, ოტოვებს უფლებას განახორციელოს კონტროლი იმ კრედიტის გამოყენებისადმი, რაც იუგოსლავიის თთავრობას მიეცემა. იმავე ჰორის განცხადების მიხედვით, საერთაშორისო ბანკი მთელ თავის ყურადღებას იუგოსლავიაში მიაქცევს სოფლის მეურნეობას, მადნის მოპოვებას, ელექტრომომაჩაგების გადიდებას და ტრანსპორტის განვითარებას, ვინაიდან ყოველივე ეს თურქე საჭიროა იმიტომ, რომ იუგოსლავიისთვის უზრუნველყოფილ იქნას რული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების და სტრატეგიული ნედლეულის მწარმოებლისა, ამით დაინტერესებული სახელმწიფოებისათვის. ილაპარაკა რა თავის გეგმებზე იუგოსლავიაში, ჰორმა განაცხადა, რომ საერთაშორისო ბანკი საერთოდ სესხებს არ აძლევს „კომუნისტურ ქვეყნებს“, მაგრამ იუგოსლავიის ზოგიერთი გეგმის განსახორციელებლად ბანკი ფულს გაიღებს! ძნელი არ არის იმის მიხვედრა, თუ რას წარმოადგენენ „იუგოსლავიის ზოგიერთი გეგმები“, რომლებიც შემოშვებულია ამერიკელ იმპერიალისტთა ფულით!

განა ცხადი არ არის, რომ იუგოსლავიის ახლანდელი მთავრობის პოლტიკამ უკვე მოაქცია იუგოსლავია უცხოეთის კაპიტალის კონტროლქვეშ! განა ცხადი არ არის, რომ ამკამად იუგოსლავიაში არავითარ სოციალიზმზე ლაპარაკიც არ შეიძლება!

ასეთია ის გზა, რომელიც ტიტოს ხროვამ სოციალიზმიდან და დემოკრატიიდან ფაშიზმამდე განვლო.

სწორედ აქ იმალება საბჭოთა კავშირისადმი იუგოსლავიის მთავრობის მტრული დამოკიდებულების ნამდვილი მიზეზი, იუგოსლავიაში საბჭოთა მოქალაქეების დევნის ნამდვილი მიზეზი.

საბჭოთა მთავრობამ თავის 18 აგვისტოს ნოტაში ღირსეული პასუხი გასცა იუგოსლავიის მთავრობას, რომელიც, როგორც ჩანს, აპირებს განაგრძოს საბჭოთა მოქალაქეებისადმი მხეცური მოპყრობის პრაქტიკა და არ აპირებს პასუხისგებაში მისცეს ისინი, ვისაც ბრალი მიუძღვის ამ ფაშისტური პრაქტიკის გატარებაში.

საბჭოთა მთავრობა თავის ნოტაში აფრთხილებს იუგოსლავიის მთავრობას, რომ ვერ შეურიგდება ასეთ მდგომარეობას და იძულებული იქნება მიმართოს სხვა, უფრო ნამდვილ საშუალებებს, რათა დაიცვას უფლებანი და ინტერესები საბჭოთა მოქალაქეებისა იუგოსლავიაში და წესრიგისაკენ მოუწოდოს თავგასული ფაშისტ მოძალადეებს.

„ᲞᲠᲐᲕᲓᲘᲡ“ 23/VIII ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔᲔᲑᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲔᲑᲘᲗᲘᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲓᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲕᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ*

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 2 ივნისის ბრძანებულების შესაბამისად **ყურძნის** უხეი მოსავლის მიღებისათვის, როცა კოლმეურნეობებმა შეასრულეს ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სავალდებულო ჩაბარებისა და კონტრაქტაციის, 1948 წელს მტს-ების მუშაობის ნატურანაზღაურების გეგმები და მთლიანად უზრუნველყეს 1949 წლის საგაზაფხულო თესვა ყველა კულტურის თესლით, **დაჯილდოებულ იქნნ:**

ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲤᲘᲗᲝᲔᲚᲘ ᲓᲠᲝᲨᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲘᲗ

284. **ᲭᲣᲚᲣᲮᲐᲫᲔ** ვიქტორ მოსეს-ძე — ზესტაფონის რაიონის სვირის სასოფლო საბჭოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც 5,2 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მიღებულია 97,9 ცენტნერი ყურძენი.

285. **ᲭᲣᲚᲣᲮᲐᲫᲔ** ელენე მიხეილის ასული — ზესტაფონის რაიონის სვირის სასოფლო საბჭოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც 5,2 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მიღებულია 97,9 ცენტნერი ყურძენი.

286. **ᲭᲣᲛᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ** ალექსანდრე პეტრეს-ძე — ონის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, რომელმაც 12 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 66,2 ცენტნერი ყურძენი.

287. **ᲨᲐᲚᲐᲛᲑᲔᲠᲘᲫᲔ** მანუილ გიორგის-ძე — ზესტაფონის რაიონის მარქსის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც 3,1 ჰექტარი შამპანური ჯიშების ვენახის თვითეულ ჰექტარზე მიღებულია 80,5 ცენტნერი ყურძენი.

288. **ᲨᲐᲚᲐᲛᲑᲔᲠᲘᲫᲔ** ონიფატე ვასილის-ძე — ზესტაფონის რაიონის მარქსის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც 3,1 ჰექტარი შამპანური ჯიშების ვენახის თვითეულ ჰექტარზე მიღებულია 80,5 ცენტნერი ყურძენი.

289. **ᲨᲔᲠᲒᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ** ივანე ნიკოლოზის-ძე — ზესტაფონის რაიონის ჩარკვანის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც 3,1 ჰექტარი შამპანური ჯიშების ვენახის თვითეულ ჰექტარზე მიღებულია 67,1 ცენტნერი ყურძენი.

290. **ᲣᲕᲘᲨᲕᲘᲚᲘ** ივანე ნიკოლოზის-ძე — ყვარლის რაიონის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 3,2 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 67,4 ცენტნერი ყურძენი.

ᲛᲔᲓᲚᲘᲗ „ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘᲗ ᲛᲐᲛᲐᲪᲝᲛᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ“

1. **ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲔ** აბას ისმაილის-ძე — ქედის რაიონის კოლმეურნეობის „გზა კომუნიზმისაკენ“ წევრი.

2. **ᲐᲑᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ** ივანე აბელის-ძე — გურჯაანის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

3. **ᲐᲑᲘᲡᲐᲫᲔ** ნიკოლოზ ანტონის-ძე — კაჭრეთის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

4. **ᲐᲑᲘᲡᲐᲫᲔ** მარიან იაგორის ასული — კაჭრეთის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.

5. **ᲐᲑᲣᲚᲐᲫᲔ** ტიტე მაქსიმეს-ძე—ზესტაფონის რაიონის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

6. **ᲐᲒᲐᲯᲘᲛᲝ** მიო�q ივანეს-ძე — გურჯაანის რაიონის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ წევრი.

7. **ᲐᲓᲔᲣᲨᲕᲘᲚᲘ** ეკატერინე თეოდორეს ასული — კაჭრეთის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

8. **ᲐᲓᲣᲨᲕᲘᲚᲘ** ოლღა ილიას ასული — კაჭრეთის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

9. **ᲐᲧᲛᲔᲡᲨᲕᲘᲚᲘ** არშავ ნასყიდას-ძე — გურჯაანის რაიონის ვილისციხის სასოფლო საბჭოს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.

10. **ᲐᲚᲘᲑᲔᲓᲖᲘᲐ** ზაქარია ალექსანდრესძე — გურჯაანის რაიონის ყდანოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

11. **ᲐᲛᲘᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ** გიორგი გიორგის-ძე — გურჯაანის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

12. **ᲐᲠᲐᲑᲘᲫᲔ** ბაგრატ იოსების-ძე — ზესტაფონის რაიონის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

13. **ᲐᲡᲐᲛᲘᲐᲜᲘ** ვერა იულონის ასული — ცაგერის რაიონის ტკაშნის სასოფლო საბჭოს კოლმეურნეობა „წინსვლის“ წევრი.

14. **ᲐᲑᲐᲚᲛᲘᲡᲣᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ** ილიან ალექსის-ძე — გურჯაანის რაიონის კოლმეურნეობა „წითელი ჭანრის“ წევრი.

15. **ᲑᲐᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ** გიორგი ბარუთინის-ძე — გურჯაანის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

16. **ᲑᲐᲖᲗᲘᲔᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ** მარიან ბაბუკის ასული — ონის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.

17. **ᲑᲐᲭᲘᲫᲔ** თომა მიხეილის-ძე — ზესტაფონის რაიონის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.

18. **ᲑᲐᲚᲐᲜᲘᲜᲔᲕᲘᲫᲔ** ნიკოლოზ კონსტანტინეს-ძე — თელავის რაიონის კოლმეურნეობა „ᲬᲘᲠᲛᲘᲡ“ წევრი.

19. **ᲑᲐᲠᲐᲗᲔᲚᲘ** ეარლამ ნარიმანის-ძე — ზესტაფონის რაიონის სვირის სასოფლო საბჭოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

20. **ᲑᲐᲪᲘᲙᲐᲫᲔ** ვასილ შაქროს-ძე — სტალინირის რაიონის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

21. **ᲑᲐᲰᲜᲐᲫᲔ** გაბრიელ ილიას-ძე — წითელწყაროს რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.

22. **ᲑᲔᲘᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ** კონსტანტინე ალექსანდრეს-ძე — გურჯაანის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

23. **ᲑᲔᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ** ივანე გიორგის-ძე — წითელწყაროს რაიონის ყდანოვის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.

24. **ᲑᲔᲪᲐᲨᲕᲘᲚᲘ** მიხეილ იაგორის-ძე — გურჯაანის რაიონის ოქტომბრის რეკონსტრუქციის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

25. **ᲑᲝᲑᲘᲰᲐᲫᲔ** დავით ირაკლის-ძე — ვანის რაიონის მე-17 პარტყრილების სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

26. **ᲑᲚᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ** ნასყიდა საირიდონის-ძე — თელავის რაიონის კოლმეურნეობა „მოწინავის“ წევრი.

27. **ᲑᲝᲚᲭᲐᲕᲐ** რეჯიბ კეფირის-ძე — ქედის რაიონის III ინტერნაციონალის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

28. **ᲑᲝᲚᲭᲐᲕᲐ** შუქრი დაფიდის-ძე — ქედის რაიონის კოლმეურნეობა „ლენინის დროშის“ წევრი.

29. **ᲑᲝᲜᲘᲝᲜᲘ** ანეტა დიმიტრის ასული — ზესტაფონის რაიონის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

30. **ᲑᲠᲔᲒᲐᲫᲔ** ერასტო ვლადიმერის-ძე — მაიაკოვსკის რაიონის სოფლის მეურნეობის განყოფილების ინსტრუქტორ-ბუხგალტერი.

31. **ᲑᲣᲠᲯᲒᲐᲜᲐᲫᲔ** ლევან სტეფანეს-ძე — მაიაკოვსკის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

32. **ᲒᲐᲑᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ** ილია პავლეს-ძე—ტყიბულის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.

33. **ᲒᲐᲑᲣᲜᲘᲐ** სერაპიონ ნიკოლოზის-ძე — მაიაკოვსკის რაიონის კოლმეურნეობა „წინსვლის“ წევრი.

34. **ᲒᲐᲒᲐᲫᲔ** სოფიო გიგოს ასული — ლენინგორის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

35. **ᲒᲐᲒᲠᲘᲜᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ** გიორგი ერასტის-ძე — ყვარლის რაიონის კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბრის“ მერგოლური.

36. **ᲒᲐᲡᲘᲐᲜᲘ** ეპიფანე ივანეს-ძე — ცაგერის რაიონის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.

37. **ᲓᲐᲛᲘᲜᲐᲫᲔ** ისლამ მემედის-ძე — ქედის რაიონის მე-18 პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

38. **ᲓᲐᲰᲘᲠᲘᲚᲐᲫᲔ** დავით ნესტორის-ძე — ზესტაფონის რაიონის სვირის სასოფლო საბჭოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.

39. **ᲓᲐᲰᲘᲠᲘᲚᲐᲫᲔ** ნოე პაულეს-ძე—ზესტაფონის რაიონის 26 კომისრის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.

40. **ᲓᲐᲕᲔᲚᲣᲯᲐᲨᲕᲘᲚᲘ** ანა ივანეს ასული — გურჯაანის რაიონის კოლმეურნეობა „ᲒᲣᲗᲜᲘᲡ“ წევრი.

41. **ᲓᲐᲕᲜᲔᲚᲘᲐ** ეარლენ სარდიონის-ძე — მაიაკოვსკის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

42. **ᲔᲔᲚᲔᲓᲔᲕᲘ** ვლადიმერ ვასილის-ძე — ზნაურის რაიონის საქართველოს ცაკის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.

43. **ᲔᲘᲤᲐᲫᲔ** თთარ ვასილის-ძე — ზესტაფონის რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

44. **ᲔᲠᲘᲰᲐᲫᲔ** ვარლამ ასლანის-ძე — ზესტაფონის რაიონის სვირის სასოფლო საბჭოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.

45. **ᲔᲠᲘᲰᲐᲫᲔ** სიმონ მიხეილის-ძი — ზესტაფონის რაიონის სვირის სასოფლო საბჭოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

46. **ᲔᲝᲠᲓᲐᲜᲘᲐ** ალექსანდრე სოფრომის-ძე — ცაგერის რაიონის საბჭოთა ხელისუფლების 10 წლისთავის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.

47. **ᲖᲝᲛᲘᲫᲔ** სოსან მიხეილის-ძე — სტალინირის რაიონის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

48. **ᲖᲝᲛᲝᲚᲝᲫᲔ** სოსიკო ალექსანდრეს-ძე — ორჯონიკიძის რაიონის კოლმეურნეობა „ᲰᲐᲠᲘᲡ ძალის“ წევრი.

49. **ᲖᲝᲛᲝᲚᲝᲫᲔ** შალვა ამბროსის-ძე —ორჯონიკიძის რაიონის კოლმეურნეობა „ᲰᲐᲠᲘᲡ ძალის“ წევრი.

50. **ᲖᲝᲖᲘᲔᲕᲘ** აბელ გიორგის-ძე — გურჯაანის რაიონის ტალიანის სასოფლო საბჭოს კოლმეურნეობა „წინსვლის“ წევრი.

51. **ᲖᲝᲖᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ** მიხეილ ალექსის-ძე — გურჯაანის რაიონის კოლმეურნეობა „ᲒᲣᲗᲜᲘᲡ“ წევრი.

52. **ᲖᲝᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ** გურამ მოსეს-ძე — წითელწყაროს რაიონის ყდანოვის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.

53. **ᲖᲝᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ** იოანე გიორგის-ძე — წითელწყაროს რაიონის ყდანოვის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი.

54. **ᲖᲝᲠᲒᲐᲫᲔ** დავით ლევანის-ძე —გურჯაანის რაიონის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ წევრი.

55. **ᲖᲝᲠᲒᲔᲯᲘᲜᲘ** გრიგოლ ლევანის-ძე — ზესტაფონის რაიონის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.

56. **ᲖᲠᲔᲛᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ** ფირუზა ილარიონის-ძე — თელავის რაიონის კოლმეურნეობა „ᲬᲘᲠᲛᲘᲡ“ წევრი.

57. **ᲗᲣᲠᲒᲔᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ** გიორგი საბას-ძე —ყვარლის რაიონის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

58. **ᲗᲣᲠᲒᲔᲜᲘᲫᲔ** ვერა ივანეს ასული —ორჯონიკიძის რაიონის კოლმეურნეობა „სოციალისტური გზის“ მერგოლური.

59. **ᲗᲣᲠᲒᲔᲜᲘᲫᲔ** მინადორა ლევანტის ასული — მაიაკოვსკის რაიონის დიმის სასოფლო საბჭოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

60. **ᲗᲣᲛᲑᲐᲠᲘᲫᲔ** პავლე ალექსანდრეს-ძე — ზესტაფონის რაიონის ცხრაწყაროს სასოფლო საბჭოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.

61. **ᲗᲣᲜᲘᲐᲯᲐ** გიორგი ვლადიმერის-ძე —ზესტაფონის რაიონის ანდრიეევის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.

62. **ᲓᲐᲕᲘᲓᲠᲘᲐ** სიმონ გეგლოს-ძე — გურჯ

მოვაწყოთ სოციალისტური შეჯიბრება ქალაქ თბილისის რაიონულ საბჭოებს შორის!

მშრომელთა დეპუტატების ქ. თბილისის ლენინის სახელობის რაიონული საბჭოს მიმართვა ქ. თბილისის რაიონული საბჭოებისადმი

ძვირფასო ამხანაგებო!

ქართველი ხალხი მრავალეროვანი საბჭოთა კავშირის უკვლა ხალხთან ერთად თავდადებულად იბრძვის ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესასრულებლად. დიდ სტალინურ დავალებათა ბოლშევიკურად განაღდების გაშლილი პროგრამა დაგვისახეს საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობამ და საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის XIX საქალაქო კონფერენციამ.

თბილისის ლენინის რაიონის მშრომელებმა პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით მძლავრი შემოქმედებითი მუშაობა გაიჩაღეს საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობისა და პარტიის თბილისის ორგანიზაციის XIX საქალაქო კონფერენციის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად. რაიონული აპარატის დეპუტატებისა და მთელი აპარატის მუშაობა ეშინაგან ერთ მიმართულ, რომ დაერაზმათ საწარმო-დაწესებულებათა მუშები, მოსამსახურეები, ინჟინერ-ტექნიკოსები და მეცნიერი მუშაკები საწარმოო გეგმების ვადაზე ადრე შესრულებისა და რაიონის კეთილმოწყობის სამუშაოთა წარმატებით განხორციელებისათვის.

ჩვენ მუდამ გვახსოვს ქართველი ხალხის სამაყო შვილის ამხანაგ ლავრენტი ბერიას მითითება იმის შესახებ, რომ საქართველოს დედაქალაქის საკალაქო მეურნეობა დიდი და რთული საქმეა და იგი მუდამ ყურადღების ცენტრში უნდა ვიქონდეს".

დედაქალაქის ლენინის რაიონის მშრომელებმა წელს რაიონის კეთილმოწყობისათვის მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს: მოასფალტებულ და მოპირწყლულ იქნა 20 ქუჩა, აიგო ახალი საცხოვრებელი სახლები, წარმატებით შესრულდა ბინების კაპიტალური და მიმდინარე რემონტის გეგმა, ქუჩებსა, სკვერებსა და ბაღებში „გაზაფხულზე ნარგო 23.000 ძირზე მეტი ხე და ბუჩქი და სხვ.

მაგრამ ყოველივე ეს მხოლოდ მცირე ნაწილია იმ დიდი საქმეებისა, რაც ჩვენ მომავალში უნდა გავაკეთოთ.

ვითვალისწინებთ რა საქართველოს ს. კ. (ბ) XIV ყრილობისა და თბილისის XIX საქალაქო პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილებათა განხორციელების უდიდეს მნიშვნელობას რაიონის საწარმოთა მუშაობისა და საქალაქო მეურნეობის მდგომარეობის გადაჭრით გაუმჯობესებისათვის, ჩვენ, ლენინის რაიონული საბჭოს დეპუტატები, ვეგებებით სოციალისტურ შეჯიბრებაში და ამავე მიზნით შეჯიბრებაში ვიწვევთ თბილისის ყველა რაიონულ საბჭოს.

ლენინის რაიონული საბჭო სოციალისტური შეჯიბრების მთავარ პირობად აყენებს სანიმუშოდ მოაწყოს ბრძოლა საქართველოს ბოლშევიკების XIV ყრილობის და თბილისის XIX საქალაქო კონფერენციის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

ამ მიზნით ვკისრულობთ შემდეგ კონკრეტულ ვალდებულებებს:

საქალაქო მეურნეობის გაუმჯობესების დარგში

1. ვადაზე ადრე, მთლიანად ავითვისებთ კაპიტალურ სამუშაოთა შესასრულებლად გეგმით გათვალისწინებულ ასიგნობებს 2.851 ათასი მანეთის რაოდენობით.

2. განსაკუთრებით ყურადღებას მივაქცევთ მოსახლეობის წყლით მომარაგების გაუმჯობესების საქმეს, სარეყავ-ნაწმაძრსაწონაალმდეგო წყალსადენის სიმძლავრეს და მის ქსელს, გავიდოდეთ 2.800 კრძალი მეტრით და გავაძლიერებთ ბრძოლას წყლის დანაკარგებთან, სრულ წესრიგზე მივიყვანთ ონკანებსა და წყალსაზომ მეურნეობას საცხოვრებელ სახლებში, რათა სავსებით აღმოიფხვრათ წყლის უმიზნო დაკარგვის შემთხვევები;

